ფინანსური ჩართულობის ორგანიზაცია "კრისტალი" აცხადებს ვაკანსიას პოზიციაზე **- მკვლევარ-ანალიტიკოსი**

სამუშაო ადგილი: **თბილისი, სათავო ოფისი**
განაკვეთი**: სრული**

„კრისტალი“ ქართულ ფინანსურ ბაზარზე ერთ-ერთი ყველაზე დიდი ისტორიის მქონე ფინანსური ინსტიტუტია, რომელიც უკვე 23 წელია წარმატებით ოპერირებს მთელი ქვეყნის მასშტაბით და 50-მდე ფილიალის მეშვეობით მომხმარებელს მათზე მორგებულ ფინანსურ სერვისებს აწვდის. კომპანიას თავისი საქმიანობის მანძილზე მრავალი საერთაშორისო თუ ადგილობრივი აღიარება აქვს მოპოვებული სოციალური პასუხისმგებლობის, გამჭვირვალობის, პასუხისმგებლიანი დაკრედიტების კუთხით.

კრისტალის დიდი გუნდი აერთიანებს 1000 ზე მეტ ადამიანს, რომლებიც ქმნიან საერთო ღირებულებებზე დაფუძნებულ კორპორატიულ კულტურას, რაც ნათლად გამოიხატება განვითარებაზე ორიენტირებულობაში, მეგობრული გარემოს შექმნაში, თანამშრომლებზე ზრუნვაში, გუნდურობასა და ერთმანეთის მხარდაჭერაში. სწორედ ასეთი გარემო და კოლეგიალური ურთიერთობები განაპირობებს იმას, რომ თანამშრომელთა დიდი ნაწილი უკვე მრავალი წელია კომპანიაშია დასაქმებული, რაც ნათლად აისახება კომპანიის სიძლიერეზე, სტაბილურობასა და წარმატებაზე.

„კრისტალი“ გთავაზობთ:

- პიროვნულ და პროფესიულ ზრდას
- მეგობრულ და პროფესიონალურ სამუშაო გარემოს
- ჯანმრთელობის დაზღვევას
- დისტანციურად მუშაობის შესაძლებლობას

<u>ძირითადი მოვალეობები:</u>

- თვისობრივი და რაოდენობრივი კვლევების დაგეგმა/განხორციელება და შესაბამისი ანგარიშგებების მომზადება
- კვლევის დამკვეთთან კომუნიკაცია სამომავლო კვლევის პროექტზე შეთანხმების მიზნით
- კვლევის ბრიფის მომზადება და შეთანხმება შესაბამის პასუხისმგებელ პირ(ებ)თან
- ინტერვიუერების ტრენინგი და კვლევისთვის მომზადება
- კვლევის კითხვარის და განხორციელების დეტალური გეგმის მომზადება
- კვლევაში ჩართულ თანამშრომლებთან კომუნიკაცია და მართვა
- ფოკუს ჯგუფების კვლევების განხორციელება
- კვლევითი პროექტების მიმდინარეობის მონიტორინგი

ჩვენი კომპანია დასაქმებისა და შრომითი ურთიერთობის თანაბარ პირობებს უქმნის ნებისმიერ თანამშრომელსა და კანდიდატს, მისი რასის, რელიგიის, მრწამსის, სქესის, ეროვნების, ეთნიკური და სოციალური კუთვნილების, შეზღუდული შესაძლებლობების, გენდერული იდენტობის, პოლიტიკური შეხედულების ან სხვა ნიშნის მიუხედავად.

- კომპანიის ისტორიული მონაცემების ანალიზი, მიგნებების და რეკომენდაციების მომზადება
- ინფორმაციის მართვა და ორგანიზება
- მარკეტინგული მიზნებისთის მონაცემთა ანალიზი, მიგნებების და რეკომენდაციების შემუშავება
- დეტალური რეპორტის მომზადება და შედეგების წარდგენა მარკეტინგის მენეჯერისთვის
- კვლევის ბიუჯეტის მართვა

<u>ძირითადი მოთხოვნები:</u>

- კვლევების და ანალიტიკის მიმართულებით მინიმუმ 2 წლიანი გამოცდილება
- უმაღლესი განათლება (სასურველია ეკონომიკის, სოციოლოგიის, ბიზნესის მართვის, მათემატიკის, ფსიქოლოგიის ან სტატისტიკის მიმართულებით)
- ინგლისური ენის ცოდნა
- Excel- ის მაღალ დონეზე ცოდნა

<u>აუცილებელი უნარ-ჩვევები და პიროვნული მახასიათებლები:</u>

- დაკვირვებულობა და დეტალებზე ორიენტირებულობა
- პასუხისმგებლობის გრძნობა და პრინციპულობა
- ლოგიკური და ანალიტიკური აზროვნების უნარი
- საქმიანობის ორგანიზებისა და დაგეგმვის უნარი
- სტრესული სიტუაციების გამკლავების უნარი
- გუნდურად მუშაობის უნარი
- გამართული ვერბალური და წერილობითი კომუნიკაციის უნარი
- პრობლემის მართვისა და გადაჭრის უნარი

თუ თვლი, რომ ჩვენი კომპანიის ღირებულებები და ვაკანსიის მოთხოვნები თანხვედრაშია შენს ინტერესებსა და კომპეტენციებთან, გამოგვიგზავნე რეზიუმე 2021 წლის **25 ივლისის ჩათვლით** ელ. მისამართზე: vacancy@crystal.ge. სათაურის ველში აუცილებლად მიუთითეთ ვაკანსიის დასახელება (***წინააღმდეგ შემთხვევაში თქვენი განაცხადი არ განიხილება).***

დაფიქსირებული განაცხადების განხილვის შედეგად შერჩეული კანდიდატები იქნებიან გამოძახებული შემდგომ ეტაპზე ვაკანსიის დასრულებიდან მაქსიმუმ 3 კვირის ვადაში.

ჩვენი კომპანია დასაქმებისა და შრომითი ურთიერთობის თანაბარ პირობებს უქმნის ნებისმიერ თანამშრომელსა და კანდიდატს, მისი რასის, რელიგიის, მრწამსის, სქესის, ეროვნების, ეთნიკური და სოციალური კუთვნილების, შეზღუდული შესაძლებლობების, გენდერული იდენტობის, პოლიტიკური შეხედულების ან სხვა ნიშნის მიუხედავად.